

სკოპინგის დასკვნა N65

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „რივერსტონი“;

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: დაბა ჩხოროწყუ, გობეჩიას N7;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 03.10.2022;

ძირითადი საპროექტო მონაცემები

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „რივერსტონის“ მიერ წარმოდგენილია, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში დაბა ჩხოროწყუში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, დაბა ჩხოროწყუში, შპს „რივერსტონის“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემი) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე 2022 წლის 29 აპრილს გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (N2-332), გარემოზე ზემოქმედების შეფასებაზე დაქვემდებარების შესახებ და კომპანიას დაევალა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლით განსაზღვრული სკოპინგის პროცედურის გავლა.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს დაბა ჩხოროწყუში, გობეჩიას ქუჩა N7-ში, შპს „რივერსტონის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 46.02.45.323). საწარმოს განთავსების GPS კოორდინატებია: X=263310.00 Y=4711595.00. საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 30 მ-ით, ხოლო უშუალოდ სამსხვრევი დანადგარიდან 90 მ-ით. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი (მდ. ხობი) საწარმოდან დაშორებულია დაახლოებით 190 მ-ით.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია პროექტის განხორციელების ალტერნატივების ანალიზი, მათ შორის განხილულია უმოქმედობის (ნულოვანი), ტექნოლოგიური და საწარმოს ადგილმდებარეობის ალტერნატივები. გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მიზნით ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან შერჩეულ იქნა სასარგებლო წიაღისეულის დამუშავების სველი მეთოდი. არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივა უარყოფილ იქნა მოსალოდნელი დადებითი სოციალურ-ეკონომიკური და გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე. საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტებიდან განიხილებოდა: 1) სოფ. ქვედა ჩხოროწყუში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 46.03.32.179), 2) დაბა ჩხოროწყუში, გობეჩიას ქუჩა N7-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 46.02.45.325) და 3) დაბა ჩხოროწყუში, გობეჩიას ქუჩა N7-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 46.02.45.323). თუმცა, სხვადასხვა კრიტერიუმების, მათ შორის უახლოეს მოსახლემდე დაშორების მანძილისა და ნედლეულით საწარმოს მომარაგების სიმარტივის გათვალისწინებით შერჩეულ იქნა მე-3 ვარიანტი. მნიშვნელოვანია გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილ იქნეს დეტალური ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, ამასთან დაკონკრეტდეს ალტერნატიული ვარიანტების დადებითი და უარყოფითი მხარეები, ხოლო წარმოდგენილი გონივრული ალტერნატიული ვარიანტებიდან ყველაზე ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა მოხდეს

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ზემოქმედების დეტალური ანალიზის საფუძველზე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმო იმუშავებს წელიწადში 260 დღეს, 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით. საწარმოს სამუშაო რეჟიმისა და სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის წარმადობის (90 ტ/სთ) გათვალისწინებით, ობიექტზე დაგეგმილია წელიწადში 192 000 ტონა ინერტული მასალის სველი მეთოდით გადამუშავება და 187 200 ტონა პროდუქციის (74 880 ტ ქვიშა; 112 320 ტ ღორღი) მიღება. ტექნოლოგიური ხაზის შემადგენლობაში შედის: მასალის მიმღები განყოფილება, მიმღები ბუნკერი, ვიბრაციული მკვებავი, ყბებიანი და როტორული სამსხვრევები, ვიბრაციული ცხავი, სილისა და ღორღის საწყობები. ქვიშა-ხრემის გადამუშავების ტექნოლოგიური ციკლი გულისხმობს საწარმოს ტერიტორიაზე ნედლეულის (ქვიშა-ხრემის ბალასტი) ავტოთვითმცლელებით შემოზიდვას, მიმღებ ბუნკერში ჩაყრას და სველი მეთოდით ორმაგ მსხვრევას. შემოზიდული ნედლეული (0-250მმ) გაივლის ჯერ მსხვილფრაქციულ (ყბებიან) სამსხვრევს, საიდანაც დამსხვრეული მასა მიეწოდება პირველად საცრელ-დამხარისხებელ დანადგარს, გარეცხვისა და დახარისხების მიზნით. 5 მმ-მდე დიამეტრის ფრაქცია საწყობდება, ხოლო 5-35 მმ დიამეტრის ფრაქცია - ინაცვლებს სპეციალურ გამანაწილებელ ბუნკერში, 35 მმ-ზე მეტი დიამეტრის ფრაქცია - გადადის როტორულ სამსხვრევში-წვრილად დაფქვის მიზნით და მიეწოდება მეორეულ საცრელ-დამხარისხებელ დანადგარს, საიდანაც 0-5 მმ, 5-10 მმ, 10-20 მმ დიამეტრის პროდუქცია საწყობდება, ხოლო 20-40 მმ და 40 მმ მეტი დიამეტრის ღორღი უბრუნდება როტორულ სამსხვრევს, წვრილი ფრაქციის მისაღებად. საპროექტო საწარმოს სასარგებლო წიაღისეულით მომარაგება დაგეგმილია, როგორც შპს „რივერსტონის“, ისე სხვადასხვა კომპანიების სალიცენზიო ობიექტებიდან.

ტექნოლოგიური ციკლისთვის საჭირო წყალმომარაგება დაგეგმილია საწარმოს ტერიტორიაზე მოსაწყობი არტეზიული ჭიდან (წყალაღების GPS კოორდინატია: X-263277.0 Y-4711603.0). ობიექტზე გათვალისწინებულია ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის მოწყობა. ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული წყალი იწმინდება სამსაფეხურიან სალექარში და ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში. სალექარში დაგროვილი შლამი (4200 ტ) რეალიზებული იქნება სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ნიადაგის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ასევე თხრილების შემავსებლად კერძო კომპანიებზე, რომლებიც აწარმოებენ მიწისქვეშა კომუნიკაციების გაყვანას. **მნიშვნელოვანია გზმ-ის ანგარიშში დაზუსტდეს შლამის გაუწყლოებისა და დროებითი დასაწყობების საკითხი, ასე წარმოდგენილი იქნეს სათანადო დასაბუთება შლამის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ნიადაგის ხარისხის გაუმჯობესებისთვის შეტანის მიზანშეწონილობის შესახებ.**

საწარმოს სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება დაგეგმილია ადგილობრივი წყალმომარაგების ქსელიდან. შეკრება მოხდება ბეტონის ორმოში, რომლის დაცლაც განხორციელდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე მუნიციპალური სამსახურის მიერ. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საწარმოს ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების პოტენციური დაბინძურების წყაროები წარმოდგენილი არ არის.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია პროექტის განხორციელებით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, ასევე ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის. პროექტის ფარგლებში გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

ძირითადად დაკავშირებული იქნება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასთან და ხმაურის გავრცელებასთან.

ატმოსფერული ჰაერის ძირითად დამაბინძურებელს წარმოადგენს არაორგანული მტვერი. სკოპინგის ანგარიშში იდენტიფიცირებულია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების 7 სტაციონარული წყარო. ობიექტის ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში მტვერის გავრცელებას ადგილი ექნება, როგორც წარმოების პროცესში, ისე ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირებისას (დღიურად 18 ოპერაცია). წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება ხორციელდება სველი მეთოდით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მტვერის გავრცელებას. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით მოსალოდნელი ზემოქმედების სათანადო შეფასებისა და ზემოქმედების მნიშვნელობის დადგენის მიზნით (მათ შორის უახლოესი დასახლების მიმართულებით), მნიშვნელოვანია გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული იყოს საწარმოო ტერიტორიაზე გაბატონებული ქარის მიმართულებები. ამასთან, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრევენციის მიზნით დაიგეგმოს სათანადო ქმედითი და შემარბილებელი ღონისძიებები.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურისა და ვიბრაციის წარმომქმნელ ძირითად წყაროებს წარმოადგენს ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. ობიექტის ტერიტორიიდან მოსახლეობის სიახლოვის გათვალისწინებით, მოსალოდნელია ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება. ხმაურის გავრცელების მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირების მიზნით დაგეგმილია ხმაურჩამხშობი კედლის მოწყობა. სკოპინგის ანგარიშის თანახმად ხმაურის დონე დამცავი კედლიდან 70 მეტრ მანძილზე არ აჭარბებს დასაშვებ ნორმებს. მნიშვნელოვანია გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი იქნეს ხმაურის გავრცელების მოდელირება, ხმაურჩამხშობი კედლის არსებობის გათვალისწინებით, ამასთან სათანადო წყაროებზე დაყრდნობით დასაბუთდეს ხმაურჩამხშობი კედლის ეფექტურობა, ხოლო დეტალურ დასაბუთებაზე დაყრდნობით მოცემული იქნეს ინფორმაცია მოსალოდნელი ხმაურის დონეების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის რეგიონული წარმომადგენლების მიერ ინფორმაცია გამოქვეყნდა ასევე საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე, ასევე სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“ ვებგვერდზე და გადაიგზავნა ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 24 ოქტომბერს, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, შპს „რივერსტოუნის“, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები და კომპანიის გარემოსდაცვითი კონსულტანტი. საჯარო განხილვაზე დაფიქსირებული შენიშვნები/მოსაზრებები ძირითადად ეხებოდა: საწარმოს სამუშაო რეჟიმსა და ნედლეულით მომარაგების საკითხებს, სკოპინგის პროცედურის მნიშვნელობას, ზედაპირული წყლის ობიექტზე ზემოქმედების საკითხსა და ექსპლუატაციის ეტაპზე კონტროლის მექანიზმებს. საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული იქნა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. ამასთან, განსაზღვრული და დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს: „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;

2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს: „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;

2.1 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის კონსულტანტის მიერ;

3. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს: სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;

4. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა;
- პროექტის საჭიროების დეტალური დასაბუთება (სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე მოსალოდნელი დადებითი და ეკოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერა-დახასიათება, მათ შორის: საკადასტრო კოდი და GPS კოორდინატები, shp ფაილებთან ერთად;
- საწარმოს გენერალური გეგმა (რომელიც უნდა იძლეოდეს საწარმოსა და მისი შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების აღქმის/გაანალიზების შესაძლებლობას), შესაბამისი აღნიშვნებით და ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება საწარმოს უბნები და დანადგარები, ტექნოლოგიური მოწყობილობები/ინფრასტრუქტურული ობიექტები, ასევე გაფრქვევისა და ხმაურის წყაროები;
- საწარმოო ტერიტორიის სიტუაციური სქემა (შესაბამისი აღნიშვნებით, ფოტო მასალა);
- დაზუსტებული მანძილი საწარმოს ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე (მდებარეობის მითითებით), დასახლებამდე (სოფელი, ქალაქი), მდინარემდე და უახლოეს სამრეწველო ობიექტამდე;
- ინფორმაცია 500-მ რადიუსის საზღვრებში არსებული ნებისმიერი ტიპის საწარმოო, მათ შორის დაგეგმილი საქმიანობის ანალოგიური, ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილების და საქმიანობის მითითებით);
- საწარმოს განთავსების ადგილის გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერა-ანალიზი;

- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის წარმოდგენილი იქნეს უმოქმედობის (ნულოვანი), ტექნოლოგიური და ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტები, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების დასაბუთების მითითებით. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული ობიექტების განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ალტერნატივების გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;
- საწარმოდან უახლოეს მოსახლემდე მანძილის გათვალისწინებით თუ საქმიანობის განხორციელება შერჩეულ ტერიტორიაზე არ იქნება სათანადოდ დასაბუთებული გარემოს დაცვის, მათ შორის ატმოსფერულ ჰაერში ემისიების გავრცელების და ხმაურის გავრცელების აღკვეთის კუთხით, განხილული უნდა იყოს ალტერნატიულ ტერიტორიაზე საწარმოს განთავსების საკითხი;
- ინფორმაცია საწარმოს ფიზიკური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია საპროექტო წარმადობის (სთ, დღე, წელი) და სამუშაო რეჟიმის/გეგმა-გრაფიკის შესახებ;
- საწარმოს ტექნოლოგიური ციკლის დეტალური, თანმიმდევრული აღწერა, ნედლეულის შემოტანიდან-პროდუქციის მიღებამდე;
- ამასთან, ინფორმაცია ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებული დანადგარების, ტექნოლოგიური მოწყობილობებისა და ტექნოლოგიური უბნების შესახებ, შესაბამისი ტექნიკური პარამეტრებისა და ტექნოლოგიური სქემების მითითებით;
- ინფორმაცია მიღებული/წარმოებული პროდუქციის, მისი რაოდენობის, დროებითი განთავსებისა და შემდგომი რეალიზაციის შესახებ;
- ინფორმაცია გადასამუშავებელი ნედლეულის შესახებ. მათ შორის, დეტალური ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით მომარაგების, ნედლეულის წარმოშობის, რაოდენობისა და დასაწყობების პირობების (დასაწყობების ადგილის მითითებით) შესახებ;
- ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების შესახებ დეტალური ინფორმაცია, მათ შორის ინფორმაცია:
 - ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების მარშრუტების შესახებ (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით), ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკის და ნედლეულის/პროდუქციის შემოტანა-გატანის პროცედურების სიხშირის მითითებით;
 - დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შესაბამისი პირობების შესახებ, მაგ: დაბალი სიჩქარე, სამოდრაო გზის მორწყვა, ძარის გადახურვა, ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა;
 - ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი ავტოტრანსპორტის შესახებ, რაოდენობის მითითებით;
 - ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების სქემასა და გეგმა-გრაფიკთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
 - ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზ(ებ)ის შესახებ.
- ინფორმაცია საწარმოს წყალმომარაგების შესახებ. მათ შორის, სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური/საწარმოო დანიშნულებით გამოყენებული წყლის შესახებ ინფორმაცია;
- დაზუსტებული ინფორმაცია არტეზიული ჭიდან წყალაღების შესახებ (თვეების მიხედვით აღებული წყლის რაოდენობის შესახებ ინფორმაციის) წყალაღების

ადგილის GPS კოორდინატებთან ერთად. ამასთან ინფორმაცია მიწისქვეშა წყლის მოპოვების ლიცენზიის შესახებ;

- ინფორმაცია სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის საკითხების შესახებ;
- დაზუსტებული ინფორმაცია საწარმოო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ;
- ინფორმაცია ტექნიკური/საწარმოო წყლების ბრუნვითი წყალმომხმარების შესახებ;
- ინფორმაცია ტექნოლოგიური წყლის გამწმენდი ობიექტის - სამსაფეხურიანი სალექარის შესახებ, პარამეტრების და გაწმენდის ეფექტურობის მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია სალექარში წარმოქმნილი შლამის მართვის საკითხების შესახებ. მათ შორის დაზუსტებული ინფორმაცია: წარმოქმნილი შლამის რაოდენობის; შლამისგან სალექარის განტვირთვის პერიოდულობის; დროებითი დასაწყობების ტერიტორიის; ლამის გაუწყლოვნების, შესქელებისა და საბოლოო მართვის ღონისძიებების შესახებ;
- მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (კოდი, დასახელება, რაოდენობა და ა.შ) და მათი შემდგომი მართვის შესახებ, ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე გაბატონებული ქარების მიმართულების შესახებ (რაც მნიშვნელოვანია უახლოესი დასახლების მიმართულებით, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით, მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელობის დასადგენად);
- ინფორმაცია მშრალ ამინდებში საპროექტო ტერიტორიისა და მისასვლელი გზების მორწყვის შესახებ (მორწყვის გეგმა-გრადიენტის მითითებით);
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გამწვანების ზოლის არსებობის ან/და მისი მოწყობის შესაძლებლობის შესახებ;
- არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ობიექტის ფუნქციონირების შეზღუდვის ღონისძიებების გეგმა;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- გზშ-ის ეტაპზე საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს საპროექტო ტერიტორიის საკუთრების ან/და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინფორმაცია დასაქმებული ადამიანების რაოდენობის, პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ.

5. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეჯამება, მათ შორის:

- საწარმოს საქმიანობის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს:
 - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიში, გაფრქვევათა რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები;
 - ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები;
 - ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გეგმა;

- გზშ-ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი.
- დეტალურად უნდა იქნეს წარმოდგენილი: პროექტის ფარგლებში ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, სადაც სათანადოდ იქნება გათვალისწინებული არსებული/ფაქტობრივი და საპროექტო გარემოებები (ხმაურის ყველა წყაროს გენ-გეგმაზე დატანით), ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება და მოდელირება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე, შესაძლო დაბინძურების განსაზღვრა, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ზედაპირულ და მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაცია ბიოლოგიურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ;
- ინფორმაცია პროექტის ფარგლებში ნარჩენების წარმოქმნა-გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი და პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- გზშ-ის ანგარიშში დეტალურად იქნეს ასახული პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე, ასევე განსაზღვრული უნდა იყოს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ამასთან, მოცემული უნდა იქნეს სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების/შენიშვნების შეფასება/ანალიზი;
- ინფორმაცია მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ, როგორც 500 მ-იან რადიუსში, ისე მის მიმდებარედ არსებული, მათ შორის ანალოგიური ობიექტების გათვალისწინებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის. ამასთან, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს სატრანსპორტო ოპერაციებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების საკითხი. კუმულაციურ ზემოქმედებასთან მიმართებაში განისაზღვროს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები (მათ შორის, ხმაურის დონისა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების მიზნით წარმოდგენილ იქნეს საუკეთესო ალტერნატიული ღონისძიებები, დეტალური დასაბუთებით);
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება (რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში);
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების დეტალური გეგმა;
- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;**
- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი** (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის

სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით), სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ატმოსფერულ ჰაერში ემისიებისა და ხმაურის გავრცელებას;

გზმ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.

6. მნიშვნელები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზმ-ის ანგარიშში:

- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციით, დამატებითი სატრანსპორტო ოპერაციების განხორციელება გათვალისწინებული არ არის, ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე უკვე მოწყობილია საწარმოს ექსპლუატაციისთვის საჭირო ყველა ინფრასტრუქტურა, რაც საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერებით დადასტურდა რომ, საპროექტო ინფრასტრუქტურა მოწყობილი არ არის. გზმ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;
- მნიშვნელოვანია გზმ-ის ეტაპზე წარმოდგენილი იქნეს დეტალური ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, ამასთან დაკონკრეტდეს ალტერნატიული ვარიანტების დადებითი და უარყოფითი მხარეები, ხოლო წარმოდგენილი გონივრული ალტერნატიული ვარიანტებიდან ყველაზე ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა მოხდეს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ზემოქმედების დეტალური ანალიზის საფუძველზე;
- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით მოსალოდნელი ზემოქმედების სათანადო შეფასებისა და ზემოქმედების მნიშვნელობის დადგენის მიზნით (მათ შორის უახლოესი დასახლების მიმართულებით) მნიშვნელოვანია გზმ-ის ანგარიშში გათვალისწინებული იყოს საწარმოო ტერიტორიაზე გაბატონებული ქარის მიმართულებები. ამასთან, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრევენციის მიზნით დაიგეგმოს სათანადო ქმედითი და შემარბილებელი ღონისძიებები;
- მნიშვნელოვანია გზმ-ის ანგარიშში დაზუსტდეს შლამის გაუწყლოებისა და დროებითი დასაწყობების საკითხი, ასევე წარმოდგენილი იქნეს სათანადო დასაბუთება შლამის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ნიადაგის ხარისხის გაუმჯობესებისთვის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ;
- მნიშვნელოვანია გზმ-ის ეტაპზე წარმოდგენილი იქნეს ხმაურის გავრცელების მოდელირება, ხმაურჩამხშობი კედლის არსებობის გათვალისწინებით, ამასთან სათანადო წყაროებზე დაყრდნობით დასაბუთდეს ხმაურჩამხშობი კედლის ეფექტურობა, ხოლო დეტალურ დასაბუთებაზე დაყრდნობით მოცემული იქნეს ინფორმაცია მოსალოდნელი ხმაურის დონეების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს წინამდებარე დასკვნით განსაზღვრული მოთხოვნებისა და საკითხების გათვალისწინებით.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით შპს „რივერსტოუნის“ მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, დაბა ჩხოროწყუში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოპოვებული, შესწავლილი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით.